



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ნავსადგურების და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია

პროგრამის მოკლე აღმწერი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 11, 16 / 01 / 2019



European Commission
TEMPUS



iamu



The
Nautical
Institute



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაცია
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	ინჟინერიის ბაკალავრი
პროგრამის ხელძღვანელები	ციური ყურშუბაძე, პროფესორი ts.kurshubadze@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება - 4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა	ქართული ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოები, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, დემონსტრირება (ვიზუალური აღქმის მეთოდი) , კონკრეტულ ფაქტებზე/საკითხებზე მსჯელობა/დებატები, პრეზენტაცია.





პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს:

- საზღვაო ინფრასტრუქტურის ამწე-სატრანსპორტო, სასაწყობო და გადამტვირთი მანქანა დანადგარების ექსპლუატაციის კვალიფიციური სპეციალისტები;
- კვალიფიციური კადრები საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასასაქმებლად. რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს შეიძინოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელთა საფუძველზეც მათ მოუხდებათ თანამედროვე გარემოში პროფესიონალებად დამკვიდრება.

მიღებული ცოდნისა და გამოიმუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია:

- პროფესიული საქმიანობაში გამოიყენოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ამწე-სატრანსპორტო მანქანების ტიპური დეტალების, კვანძებისა და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
- ამწე მანქანების ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით მათი ერთმანეთთან შედარება და სწორად შერჩევა;
- ავტომატიზირებული სისტემების მუშაობის საიმედოობის და ხარისხის შეფასება;
- სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვის დროს მექანიზაციის სქემის შერჩევა და ტექნოლოგიური სქემის მწარმოებლობისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინება;



პროგრამის სტრუქტურა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 240 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- საბაზო განათლების კომპონენტები - 35 ECTS;
- ჰუმანიტარტული და სოციალური კომპონენტები - 35 ECTS;
- ზოგად-პროფესიული კომპონენტები - 45 ECTS;
- სპეციალობის კომპონენტები - 105 ECTS;
- საწარმოო პრაქტიკა - 10 ECTS
- საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS;



დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს ნავსადგურებში, საკონტეინერო და ნავთობტერმინალებში, დატვირთვა განტვირთვის სამუშაოების, მექანიზაციისა და მართვის სფეროში. ასევე შესაძლებელია დასაქმდეს:

- სახელმწიფო სამსახურებში, რომლებიც დაკავშირებული არიან საზღვაო პორტებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ამწე-სატრანსპორტო სისტემების რეგულირებასა და კონტროლთან;
- საწარმოებში და ორგანიზაციებში, რომლებიც ახდენენ ამწე-სატრანსპორტო მანქანების ექსპლუატაციას, შენახვას, ტექნიკურ მომსახურებას, რემონტს და აგრეთვე მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას პროფესიული საქმიანობის შემდეგი სახეების მიხედვით: საწარმოო-ტექნოლოგიური, ექსპერიმენტულ-კვლევითი, საორგანიზაციო-მმართველობითი, სამონტაჟო-სამწყობო, საექსპლუატაციო.



ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული დარგის სპეციალისტები:

- პროფესორი 4
- ასოცირებული 17
- ასისტენტ პროფესორი 1
- ასისტენტი 2
- მოწვეული პერსონალი 8

მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც უახლესი თანამედროვე კომპიუტერული გამზომი ინსტრუმენტებითა და ლაბორატორული დანადგარებითაა აღჭურვილი.

სტუდენტთა სწავლებისა და მომზადების პროცესში გამოიყენება:

- ფიზიკისა, ქიმიის, ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, სასწავლო ლაბორატორიები;
- საზეინკლო, სახარატო და შემდუღებელი ლაბორატორია;
- საინჟინრო გრაფიკის კაბინეტი;
- ტექნიკური მექანიკის ლაბორატორია;
- პნევმატიკის ლაბორატორია;
- ჰიდრაულიკის ლაბორატორია;
- ავტომატიკის ლაბორატორია;





**შეფასების
სისტემა**

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.





BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ღირსება, ცოდნა, გამოცდილება !